საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №10/2003

2003 წლის 29 აგვისტო

ქ. თბილისი

2003 წლის 2 ნოემბერს დანიშნული საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის მოწვევის თაობაზე

იმის გათვალისწინებით, რომ 2003 წლის 2 ნოემბერს დანიშნული საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი მოწვევის ვადა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა მოიწვევა საქართველოს პრეზიდენტის მიერ, არა უგვიანეს 2003 წლის 5 სექტემბრისა.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა) მისი მიღებიდან 3 კა-ლენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ზესაშვილი
კომისიის თავმჯდომარე

მამუკა კოპალეიშვილი
კომისიის მდივანი